# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

20-112

## დადგენილება № ---

„ 30 " დეკემბერი 2014 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილების, „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს N726 ბრძანებულების და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა, დამტკიცდეს:

1. ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანდართული თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა დასახელებები (დანართი N1);

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანდართული თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა დასახელებები (დანართი N2).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 20 ნოემბრის N2-16 გადაწყვეტილება.

3. დადგენილება ძალაშია 2015 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

*დანართი №1*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები

| N | თანამდებობათა დასახელება | თანხა ლარობით |
|---|---|---|
| 1. | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე | 3540 |
| 2. | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის რველი მოადგილე | 2950 |
| 3. | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ადგილე | 2850 |
| 4. | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი მისიის თავმჯდომარე | 2600 |
| 5. | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ვმჯდომარე | 2600 |

*დანართი №2*

## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა დასახელებები

| № | თანამდებობათა დასახელება | თანხა ლარობით |
|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ფროსი | 2 600 |
| 2 | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ფროსის მოადგილე | 1 800 |
| 3 | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ნყოფილების უფროსი | 1 600 |
| 4 | სამდივნოს უფროსი | 1 600 |
| 5 | თანაშემწე | 1 500 |
| 6 | მრჩეველი | 1 300 |
| 7 | მთავარი სპეციალისტი | 1 300 |
| 8 | წამყვანი სპეციალისტი | 1 200 |
| 9 | სპეციალისტი | 1 000 |
| 10 | ელექტრიკოსი | 1000 |
| 11 | კავშირგაბმულობის სპეციალისტი | 1000 |
| 12 | სანტექნიკოსი | 1000 |
| 13 | მძღოლი | 1000 |
| 14 | მესაათე | 500 |
| 15 | სხვა დანარჩენი ტექნიკური მუშაკი | 1000 |